

ბარათი N1 - სტანდარტული ვადიანი დეპოზიტი

სტანდარტული ვადიანი დეპოზიტი იხსნება კონკრეტული თანხითა და კონკრეტული ვადით, მაგალითად, 3 თვით, 6 თვით, 1 წლით, 2 წლით და ა.შ. ამ ვადის განმავლობაში, ასეთი ტიპის დეპოზიტზე არც **თანხის დამატება** ხდება და არც - დეპოზიტიდან **თანხის გატანა**.

დეპოზიტზე დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** გატანა როგორც წესი, შეიძლება ყოველთვიურად, ან ვადის ბოლოს - დეპოზიტის ძირითად თანხასთან ერთად.

თუ ვადიანი დეპოზიტიდან თანხის გატანას **ვადაზე ადრე** მოითხოვთ, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დაირღვევა და დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ან საერთოდ არ, ან ბევრად ნაკლები ოდენობით დაეკრძება.

დევოზიონის ტიპები

ბარათი N2 - ზრდადი ვადიანი დეპოზიტი

ზრდადი (ან შეგროვებადი) ვადიანი დეპოზიტი იხსნება კონკრეტული ვადით, მაგალითად, 3 თვით, 6 თვით, 1 წლით, 2 წლით და ა.შ. ასეთი ტიპის დეპოზიტზე თანხის დამატება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, დეპოზიტზე დაგროვებულ თანხას კი, დარიცხულ **საპროცენტო სარგებელთან** ერთად, ვადის ბოლოს **გაიტანთ**.

მნიშვნელოვანია გაარკვიოთ, ხომ არ აქვს ასეთი ტიპის დეპოზიტს ყოველთვიური **მინიმალური შენატანი**, ანუ თანხის ის მინიმალური რაოდენობა, რაც ყოველ თვე უნდა შეიტანოთ დეპოზიტზე.

თუ ზრდად ვადიან დეპოზიტზე მინიმალურ შენატანს არ შეიტანთ, ან დეპოზიტიდან თანხის გატანას **ვადაზე ადრე** მოითხოვთ, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დაირღვევა და დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ან საერთოდ არ, ან ბევრად ნაკლები ოდენობით დაერიცხება.

დეკლარაციის ტიპები

გარათი N3 - საბავშვო დეპოზიტი

საბავშვო დეპოზიტი ზრდადი დეპოზიტის მსგავსია, რომელიც ბავშვის სახელზე, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ, ბავშვის სრულწლოვანებამდე, ანუ 18 წლამდე იხსნება. ასეთი ტიპის დეპოზიტზე **თანხის დამატება** ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, დეპოზიტზე დაგროვებული თანხისა და დარიცხული **საპროცენტო სარგებლის გატანა** კი ბავშვს 18 წლის მიღწევის შემდეგ შეუძლია.

მნიშვნელოვანია გაარკვიოთ, ხომ არ აქვს ასეთი ტიპის დეპოზიტს ყოველთვიური **მინიმალური შენატანი**, ანუ თანხის ის მინიმალური რაოდენობა, რაც ყოველ თვე უნდა შეიტანოთ დეპოზიტზე.

თუ საბავშვო დეპოზიტზე მინიმალურ შენატანს არ შეიტანთ, ან დეპოზიტიდან თანხის გატანას **ვადაზე ადრე** მოითხოვთ, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დაირღვევა და დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ან საერთოდ არ, ან ბევრად ნაკლები ოდენობით დაერიცხება.

დემოგრაფიის ტიპები

ბარათი N4 - მოთხოვნაზე (უვალო) დეპოზიტი

მოთხოვნამდე დეპოზიტი კონკრეტული ვადის დათქმის გარეშე, ანუ უვადოდ იხსნება. ასეთი ტიპის დეპოზიტზე თანხის დამატება, ასევე დეპოზიტიდან **თანხის გატანა** ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. შესაბამისად, დეპოზიტის თანხით შემოტანითა და გატანით, დეპოზიტის ხელშეკრულება არ ირღვევა.

იმის გამო, რომ მოთხოვნამდე დეპოზიტი უფრო მოქნილია, ვიდრე ვადიანი ტიპის დეპოზიტები, მას ვადიან დეპოზიტთან შედარებით უფრო ნაკლები საპროცენტო სარგებელი აქვს.

დეკლარაციის ტიპები

ბარათი N5 - დეპოზიტის მნიშვნელოვანი პირობები

სანამ დეპოზიტის გახსნას გადაწყვეტდეთ, შეარჩიეთ, რომელი ტიპის დეპოზიტი (ვადიანი, ბრდადი, საბავშვო თუ უვადო) შეესაბამება თქვენს მიზანს და დააზუსტეთ რამდენიმე პირობა:

საპროცენტო განაკვეთის ოდენობა - რა სარგებელი დაემატება თქვენ მიერ შეგროვილ თანხას?

პროცენტის დარიცხვის პირობა - მარტივი თუ რთული დარიცხვით?

საკომისიოები - აქვს დეპოზიტს რამე საკომისიო (მაგ., თანხის გამოტანის, მომსახურების და ა.შ.)?

თანხის დამატების პირობა - ხომ არ არის აუცილებელი ყოველთვიურად რაიმე მინიმალური თანხის დამატება?

საპროცენტო სარგებლის გატანის პირობა - ყოველთვიურად თუ ვადის ბოლოს?

თანხის გატანის პირობა - შეიძლება თუ არა თანხის ვადაზე ადრე გატანა და რა სარგებელი დაგერიცხებათ ამ შემთხვევაში?

დეკლარაციის ტიპები